ტვინების ბრძოლა
საქალაქო ჩემპიონატი | გაზაფხული 2025
U5 (III, IV, V კლასები)

1. 5-ქულიანი შეკითხვა
როგორც აღმოჩნდა, ამ ცხოველებს სულაც **არ უყვართ იქსი** და ეს მცდარი შეხედულება "**ბაგს ბანის**" ბრალია. თუ ძალიან ბევრ იქსს **შეჭამთ**, შეიძლება კანი **ნარინჯისფერი** გაგიხდეთ. დაწერეთ იქსით შეცვლილი **შვიდასოიანი სიტყვა**.

პასუხი: სტაფილო
კომენტარი: როგორც აღმოჩნდა, სტაფილო კურდღლებისთვის არც ისე სასარგებლოა და ველურ ბუნებაში ისინი სტაფილოს სულაც არ შეექცევიან. მითი, თითქოს კურდღლებს სტაფილო უყვართ, მულტფილმების პერსონაჟ "ბაგს ბანის" უკავშირდება, რომელიც ხშირად ჭამს სტაფილოს. თუ ძალიან ბევრ სტაფილოს შეჭამთ, თქვენი კანიც "სტაფილოსფერი" ანუ ნარინჯისფერი გახდება.
წყარო: ბმული , ბმული

2. 6-ქულიანი შეკითხვა
სიტყვა "**მაუ**" **ეგვიპტურად** ნიშნავს როგორც **მზეს**, ისე **იქსს**, რაც გასაკვირი არაა, რადგან ძველ ეგვიპტეში იქსს დიდ **პატივს სცემდნენ**. ამერიკაში იქსის ერთ-ერთი ყველაზე **გავრცელებული** სახელია **სიმბა**. შესაძლოა, იქსი **ბევრ თქვენგანსაც ჰყავდეს**. დაასახელეთ იქსი სიტყვით, რომელშიც **ყველა ხმოვანი ერთნაირია**.

პასუხი: კატა
კომენტარი: ეგვიპტური მაუ არის კატის ცნობილი ჯიში. ეგვიპტელებმა კატას სახელი შეურჩიეს იმ ხმის მიხედვით, რომელსაც ის გამოსცემს: მიაუ - მაუ. ცნობილი ფაქტია, რომ ეგვიპტეში კატებს ეთაყვანებოდნენ. სიმბა "მეფე ლომში" ლომის სახელია, ლომი კი თავის მხრივ დიდი კატაა.
წყარო: ბმული , ბმული

3. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ წიგნში, სკოლაში წასვლამდე, დედა შვილს ჩუქნის **ახალ იქსს** და იქვე ამატებს, რომ მიუხედავად ამ საჩუქრისა, მისგან **შეცდომების დაშვებას არ ელის**. **ფოტოშოპში** არსებობს ხელსაწყო, სახელად "**მაგიური იქსი**", რომელიც არასასურველ ნივთს ფოტოდან **წაშლის**. დაწერეთ იქსი **ერთი შვიდასოიანი** სიტყვით.

პასუხი: საშლელი
კომენტარი: სკოლის ნივთებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საშლელი. დედა შვილს საშლელს ჩუქნის, თუმცა იქვე ამატებს, რომ მისგან შეცდომების დაშვებას არ ელის. ლოგიკურია, რომ "მაგიური საშლელი" ფოტოებიდან არასასურველ ნივთებს აქრობს. სიტყვა "წაშლაც" დამატებითი მინიშნება იყო საშლელზე.
წყარო: Beverly Cleary "Ramona Quimby, Age 8", ბმული

4. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

დარიგებულ მასალაზე თქვენ ხედავთ ცნობილი **ანიმაციის** მინიმალისტურ **პოსტერს**. ამ ანიმაციის მიხედვით **2025 წელს** გამოვიდა **ფილმიც**, რომელშიც ერთ-ერთ როლს **1 მეტრის და 22 სანტიმეტრის** სიმაღლის მქონე მსახიობი ასრულებს. დაწერეთ ამ ანიმაციის სახელი.

პასუხი: ფიფქია და 7 ჯუჯა
ჩათვლა: ფიფქია
კომენტარი: მასალაზე ხედავთ მოკბეჩილ ვაშლს. როგორც მოგეხსენებათ, ბოროტმა დედოფალმა ფიფქია სწორედ ვაშლით მოწამლა. 2025 წელს გამოვიდა ფილმი "ფიფქია", სადაც 1 მეტრისა და 22 სანტიმეტრის სიმაღლის მქონე მარტინ კლება ერთ-ერთი ჯუჯის - "ბუზღუნას" როლს ასრულებს.
წყარო: ბმული

5. 6-ქულიანი შეკითხვა
წიგნში "**პეპი გრძელწინდა**", პეპის **სწავლა არ უნდა** და მხოლოდ იმიტომ მიდის სკოლაში, რომ **უნდა**, **მასაც ჰქონდეს იქსი**. წელს, **საგაზაფხულო იქსი**, **8-დან 14 მარტამდე** გაგრძელდა. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: არდადეგები
კომენტარი: პეპის არ უნდა სკოლაში სიარული, თუმცა ძალიან იზიდავს არდადეგების იდეა. 2024/2025 სასწავლო წლის საგაზაფხულო არდადეგები 8-14 მარტს იყო.
წყარო: ა.ლინდგრენი "პეპი გრძელწინდა", ბმული

6. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ ნაწარმოებში **ინდიელ** ბიჭს, რომელმაც **თეთრკანიანთა** სკოლაში დაიწყო სიარული, თანატომელები **მოღალატედ** მიიჩნევენ და ეძახიან **იქსს**, რადგან **გარედან წითელია**, **შიგნით** კი **თეთრი**. **გარედან სხვა ფერის** იქსი თქვენ **ცოტა ხნის წინ ნახეთ**. დაწერეთ იქსით შეცვლილი სიტყვა.

პასუხი: ვაშლი
კომენტარი: ვაშლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა წითელი ვაშლი. ინდიელებს წითელკანიანებს ეძახიან; ინდიელი ბიჭი რომელიც თეთრკანიანებს შეუერთდა, ვაშლსაა

შედარებული, რადგან გარედან წითელია, მაგრამ შინაგანად თეთრი. დღეს დარიგებულ მასალაზე თქვენ ნახეთ მწვანე ვაშლი.
წყარო: Sherman Alexie “The Absolutely True Diary of a Part-Time Indian”

7. 5-ქულიანი შეკითხვა
მაშ ასე, **მეშვიდე შეკითხვა!** ცოტა ხნის წინ შექმნილ **ანიმაციურ ვიდეოში** ეს **სპორტსმენი ეიფელის კოშკის** თავზე **საქართველოს დროშას** არჭობს. დაასახელეთ ეს სპორტსმენი.

პასუხი: ხვიჩა კვარაცხელია
კომენტარი: ცოტა ხნის წინ ქართველმა ფეხბურთელმა ხვიჩა კვარაცხელიამ დატოვა “ნაპოლი” და “პსჟ”-ში გადავიდა. “პსჟ” პარიზის გუნდია, რის გამოც ანიმაციაში ხვიჩა ეიფელის კოშკის თავზე ათავსებს ქართულ დროშას. კითხვის ნომერი დამატებითი მინიშნება იყო კვარას მაისურის ნომერზე.
წყარო: https://www.facebook.com/reel/1383240379713638

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეული გუნდის სათამაშო მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოაზროვნე.]

წიგნი “მისტერ ბენედიქტის საიდუმლო საზოგადოება” მოგვითხრობს **11 წლის ობოლ ბიჭუნა** რეინი მალდუნზე (*სახელი და გვარია*), რომელსაც **განსაკუთრებულ სკოლაში** მიიღებენ და **მეგობრებთან ერთად ბოროტებას ებრძვის**. ერთ სტატიაში რეინი მალდუნს **ადარებენ იქსს**. დაასახელეთ იქსით შეცვლილი **პერსონაჟი**.

პასუხი: ჰარი პოტერი
კომენტარი: ჰარი პოტერიც ობოლია და 11 წლის ასაკში მიიღებს წერილს ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლიდან, სადაც მეგობრებთან ერთად ბოროტი ძალების წინააღმდეგ დაიწყებს ბრძოლას. ამ მნიშვნელოვანი მსგავსებების გამო, რეინი მალდუნი ერთ სტატიაში სწორედ ჰარი პოტერს შეადარეს.
წყარო: ბმული

9. 7-ქულიანი შეკითხვა
ანიმაციაში “კუნგ ფუ პანდა 4”, ვხვდებით პერსონაჟს, რომელიც მარტივად **იცვლის ფორმებს** და შეუძლია **დაემსგავსოს სხვა ცხოველს**. ეს პერსონაჟი არის **იქსი**. იქსი **ეფექტურად იჭერს მწერებს,** რაც მისი **გრძელი ენის დამსახურებაა**. დაასახელეთ იქსით შეცვლილი არსება.

პასუხი: ქამელეონი
კომენტარი: ქამელეონები ცნობილი არიან თავიანთი ვიზუალის შეცვლისა და შენიღბვის უნარით. როგორც ბევრი სხვა ხვლიკი, ქამელეონებიც ენით იჭერენ მწერებს, ამიტომ გრძელი ენა ძალიან ეხმარებათ.
წყარო: “კუნგ ფუ პანდა 4”, ბმული

10. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

თქვენ წინაშეა ერთი კომპანიის **ლოგო**, რომლის **ნაწილებიც დავფარეთ**. ამ კომპანიას **ამწე ლიფტის** მეშვეობით **მაღალ სართულებზე ააქვს ნივთები**. დაასახელეთ **ცხოველი**, რომელიც კომპანიის სახელში ფიგურირებს.

პასუხი: ჟირაფი
კომენტარი: კომპანიის ლოგო ყვითელ და შავ ფერებშია გადაწყვეტილი, რაც მინიშნებაა ჟირაფზე. ამწე ლიფტი, რომელიც მაღალ სართულებს უნდა მიწვდეს, ისეთივე გრძელია, როგორც ჟირაფის კისერი. მასალიდან სწორედ ჟირაფის კისერი და წარწერა "ჟირაფია" წაშლილი.
წყარო: ბმული

11. 6-ქულიანი შეკითხვა
წიგნში "**პეპი გრძელწინდა**", **ტომს** და **ანიკას** დედა **უკრძალავს ამის გაკეთებას**, რადგან ეშინია, რომ **ჩამოვარდებიან** და **რამეს მოიტეხავენ**. სულხან-საბას იგავში, **კატა ლომს არ ასწავლის ამის გაკეთებას**, რითაც **თავს გადაირჩენს** კიდეც. დაწერეთ "ამის გაკეთებით" შეცვლილი **ორი სიტყვა**.

პასუხი: ხეზე ასვლა
კომენტარი: ტომს და ანიკას დედა ხეზე ასვლას უკრძალავს, რადგან ეშინია რომ გადმოვარდებიან და რამეს მოიტეხავენ. სულხან-საბას იგავში, კატა ზრდის ლომს და ყველაფერს ასწავლის ხეზე ასვლის გარდა. როდესაც ლომს კატის შეჭმა მოუნდება, კატა ხეზე ავა და ასე გადაირჩენს თავს.
წყარო: ა.ლინდგრენი "პეპი გრძელწინდა", ბმული

12. 7-ქულიანი შეკითხვა
ბასრი და **მჭრელი კბილების** მქონე ცხოველის **გრძელ პირს**, რომელიც **ხშირად იღებოდა** და **იკეტებოდა**, წიგნის პერსონაჟი **ადარებს იქსს**. **ფეხბურთში** ერთ **ლამაზ** და **რთულად შესასრულებელ დარტყმას** სახელი **იქსის** მიხედვით ეწოდა. დაწერეთ იქსით შეცვლილი სიტყვა.

პასუხი: მაკრატელი
კომენტარი: გრძელი პირი და მჭრელი კბილები პერსონაჟმა მიამსგავსა მაკრატელს. ფეხბურთში არსებობს ე.წ. "მაკრატელა" დარტყმა, რომელიც ძალიან რთული შესასრულებელია.
წყარო: Mary Pope Osborne "Dinosaurs Before Dark"

13. 5-ქულიანი შეკითხვა

იქსით შეცვლილია **ერთი სიტყვა**.
ერთ ნაწარმოებში, ბიჭუნას **დიდ** და **მანათობელ თვალებს** ავტორი **ადარებს იქსებს**. **სამასოიანი სიტყვით** დაასახელეთ ის იქსი, რომელიც ჩვენთან **ყველაზე ახლოსაა**.

პასუხი: მზე
კომენტარი: ბიჭუნას დიდ და მანათობელ თვალებს ავტორი ადარებს ვარსკვლავებს. დედამიწასთან ყველაზე ახლოს მდებარე ვარსკვლავი არის მზე.
წყარო: Roald Dahl “James and the Giant Peach”

14. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

თქვენ წინაშეა **საბეჭდი მანქანის** ერთ-ერთი ნიმუში. **ძველ საბეჭდ მანქანას**, რომელსაც **ორ რიგად** ჩამწკრივებული **კლავიშები** ჰქონდა, ეძახდნენ **ლიტერატურულ იქსს**. სიმბოლურია, რომ ერთ **საბავშვო იქსს ზებრა** ახატია. დაასახელეთ იქსით შეცვლილი **საკრავი**.

პასუხი: პიანინო (ფორტეპიანო)
კომენტარი: საბეჭდი მანქანა, რომელსაც ორ რიგად ჰქონდა კლავიშები ჩამწკრივებული, ძალიან წააგავდა პიანინოს. პიანინოს კლავიშები შავ-თეთრია, ისევე, როგორც ზებრა.
წყარო: ბმული , ბმული

15. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთი წიგნის პერსონაჟს, რომელსაც **სიბნელე უყვარს**, **იქსი ურჩევნია დანარჩენ სამს**. მაყვალა მრევლიშვილის ლექსში, **იქსს ერითმება** სიტყვა “**ავდარი**”. დაწერეთ იქსი, თუ გეტყვით, რომ ის **უკვე უკან მოვიტოვეთ**.

პასუხი: ზამთარი
კომენტარი: ზამთარში მზე მცირე ხნით და იშვიათად ანათებს, რის გამოც სიბნელის მოყვარულ პერსონაჟს ის დანარჩენ სამ სეზონზე მეტად მოსწონს. ზამთარში ასევე ცივა და ცუდი ამინდებია,

რის გამოც ლექსში ეს სიტყვა ერითმება “ავდარს”. ზამთარი თებერვალში დამთავრდა და ახლა უკვე გაზაფხულია.
წყარო: Kate DiCamillo “The Miraculous Journey of Edward Tulane”, ბმული